



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

უსაფრთხოების მიმოხილვა

ზურაბ ბატიაშვილი

თურქეთი და შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხი

2021

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება დაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის
ფონდი 2021

„ცივი ომის“ პერიოდში თურქეთისთვის შავი ზღვა საბჭოთა საფრთხესთან ასოცირდებოდა და ამ მიმართულებით თურქულ-ამერიკული ერთობლივი „შეკავების პოლიტიკა“ ხორციელდებოდა. თურქეთის შავი ზღვის მთელ გაყოლებაზე არსებობდა აშშ-ისა და ნატოს სამხედრო ობიექტების მთელი ჯაჭვი, რომლებიც ამ საფრთხის განეიტრალებაზე იყო ორიენტირებული.



აშშ-ისა და ნატოს სამხედრო ობიექტები თურქეთის ტერიტორიაზე ცივი ომის პერიოდში

საბჭოთა კავშირის დაშლისა და, მოგვიანებით, თურქეთის მიერ უფრო მეტად დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარების შემდეგ კი ანკარამ საფრთხეების აღქმა რადიკალურად შეცვალა. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ შავ ზღვაზე დასავლეთისა და თურქეთის ინტერესები ზოგჯერ არა თუ არ ემთხვევა ერთმანეთისას, არამედ, ხშირ შემთხვევაში, მათ შორის წინააღმდეგობებსაც ვხედავთ.

გარდა იმისა, რომ ანკარას შავ ზღვასთან ემოციური კავშირი აქვს – მას ხომ ერთ დროს „ოსმალურ ტბასაც“ უწოდებდნენ, თურქეთი ფლობს ყველაზე გრძელ სანაპირო ზოლს ამ ზღვაზე და, რაც ყველაზე მთავარია, იგი აკონტროლებს შავი ზღვის გარე სამყაროსთან დამაკავშირებელ კარიბჭეს (ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებს). ეს კი ანკარას შავ ზღვასთან მიმართებით უნიკალურ პოზიციაში ამყოფებს.

ამ ეტაპისთვის შეგვიძლია გამოვყოთ 3 ძირითადი საკითხი, რაც მნიშვნელოვანია შავი ზღვის უსაფრთხოების მიმართ თურქეთის დამოკიდებულების უკეთ გასაგებად.

თურქეთი და მონტროს კონვენცია

1936 წლის 20 ივლისს ხელმოწერილი „სრუტეების რეჟიმთან დაკავშირებული მონტროს კონვენცია“ ადასტურებს თურქეთის მიერ ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების კონტროლს.¹ აღნიშნული თემა ანკარაში სუვერენიტეტის ცნობის დონეზეა აწეული. ამიტომ მისი პირობების დაცვა ყოველთვის სენსიტიურია თურქეთისთვის.



ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები

მონტროს კონვენცია ასევე არეგულირებს სამხედრო გემების ტრანზიტს სრუტეებში. ამ კონვენციის მიხედვით, მშვიდობიანობის პერიოდში გარანტირებულია სამოქალაქო გემების თავისუფალი გატარება.²

მონტროს კონვენცია

შედგება 29 მუხლის, 4 დანართისა და 1 ოქმისგან
II-VII მუხლები შეეხება სავაჭრო გემების ტრანზიტს.
VIII-XXII მუხლები შეეხება სამხედრო გემების ტრანზიტს.

¹ Montreux Convention Regarding the Regime of the Straits,
https://en.wikipedia.org/wiki/Montreux_Convention_Regarding_the_Regime_of_the_Straits

² Montreux Convention Regarding the Regime of the Straits,
https://en.wikipedia.org/wiki/Montreux_Convention_Regarding_the_Regime_of_the_Straits

- არა შავი ზღვის ქვეყნებმა, რომლებსაც გემის გაგზავნა სურთ შავ ზღვაში, 8 დღით ადრე უნდა აცნობონ ამის შესახებ თურქულ მხარეს;
- გემის ტონაჟი არ უნდა აღემატებოდეს 10 000 ტონას;³
- შავ ზღვაში მყოფი არა შავი ზღვის ქვეყნების გემების საერთო ტონაჟი არ უნდა აღემატებოდეს 30 000 ტონას (განსაკუთრებულ შემთხვევებში კი 45 000 ტონას);
- შავ ზღვაში შეუძლიათ დარჩნენ არა უმეტეს 21 დღისა.⁴

ამგვარად, მონტროს კონვენცია საგრძნობლად ზღუდავს შავ ზღვაზე არა შავი ზღვის ქვეყნების სამხედრო ძალების შეღწევადაობას.

ამიტომ დღეს ბევრი კამათობს იმაზე, რომ მონტროს კონვენცია 1930-იანი წლების რეალობის გათვალისწინებითაა შექმნილი, რაც არ შეესაბამება დღევანდელობას და მისი გადახედვაა საჭირო. თუმცა, იმის გამო, რომ კონვენციის ხელმომწერ და მათ სამართალმემკვიდრე ქვეყნებს განსხვავებული ინტერესები აქვთ შავ ზღვაზე, მის რეფორმირებაზე საფუძვლიანი მსჯელობის დაწყება ვერ ხერხდება.

შეერთებულ შტატებშიც კარგად ათვისებნიერებენ, რომ მონტროს კონვენციის მკაცრი პირობები სერიოზული ხელისშემშლელი ფაქტორია შავ ზღვაზე ამერიკული სამხედრო ყოფნისთვის.⁵

აღნიშნული კონვენცია რომ სერიოზული პრობლემაა, უკვე არაერთხელ გამოჩნდა რეალობაში. ყველაზე ნათელი მაგალითი კი იყო რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი, რომლის დაწყების შემდეგ აშშ-ს სურდა თავისი ორი ჰოსპიტალური გემის შემოყვანა შავ ზღვაზე, საქართველოსთვის დახმარების აღმოჩენის მიზნით. თუმცა, ამ გემების საერთო ტონაჟი აღემატებოდა 69 000 ტონას, რის გამოც თურქეთმა არ გასცა მათი ტრანზიტის ნებართვა.

გასათვალისწინებელია, რომ ამ შემთხვევაში ანკარაზე სერიოზულ ზეწოლას ახორციელებდა ვაშინგტონიც (გატარების მოთხოვნით) და მოსკოვიც (არგატარების მოთხოვნით). საბოლოო ჯამში თურქეთმა არ დაარღვია მონტროს კონვენციის პირობები და ამ ორი დიდი გემის ნაცვლად შავ ზღვაში შემოვიდა 3 შედარებით პატარა ამერიკული სამხედრო გემი, რომლებმაც ჰუმანიტარული დახმარება ჩამოიტანეს საქართველოს პორტებში.⁶

რამდენიმე წლის წინ თურქეთმა გამოაცხადა, რომ აპირებს გრანდიოზული და ამბიციური პროექტის Kanal Istanbul-ის განხორციელებას, რომელიც გულისხმობს

³ http://www.mfa.gov.tr/site_media/html/montro-bogazlar-raporu-2014.pdf

⁴ Dilek Barlas, *Etatism and Diplomacy in Turkey*, pp. 166–170. BRILL, 1998.

⁵ Jason, Ditz (16 February 2017). "NATO Seeks Further Buildup in Black Sea, Eastern Europe". *Antiwar.com*. Retrieved 13 November 2019.

⁶ Gokcicek, Bulent, *The Montreux Convention regarding the Turkish Straits and its importance after the South Ossetia War*, https://calhoun.nps.edu/bitstream/handle/10945/4858/09Mar_Gokcicek.pdf?sequence=1&isAllowed=y p. 48-49

ბოსფორის სრუტის პარალელურად 45 კმ-იანი ხელოვნური არხის გაყვანას შავ და მარმარილოს ზღვებს შორის. ამან კი ანკარას შესაძლოა უფრო მეტი დამოუკიდებლობა მიანიჭოს შავ ზღვაზე გასასვლელი გზების კონტროლის თვალსაზრისით.⁷



Kanal Istanbul-ის პროექტი

თურქეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბინალი ილდირიმმა 2018 წლის იანვარში განაცხადა, რომ Kanal Istanbul არ დაექვემდებარება მონტროს კონვენციის რეჟიმს.⁸

მოგვიანებით მსგავსი განცხადება გააკეთა თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმაც. მაგრამ პრეზიდენტმა დეტალების დაზუსტების გარეშე იქვე დასძინა, რომ ისინი „ამ საკითხს გადაწყვეტენ“.⁹

ცხადია, ამ განცხადებებმა რუსული მხარის მკვეთრად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია,¹⁰ რადგან მონტროს კონვენცია მკვეთრად ზღუდავს სხვა ქვეყნების სამხედრო ყოფნას შავ ზღვაზე და ეს მომენტი რუსეთისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყირიმის ანექსიისა¹¹ და საქართველოს რეგიონების ოკუპაციის შემდეგ.

ამ საკითხში ბევრი სხვა ბუნდოვანებაც არსებობს. მაგალითად, მონტროს კონვენცია ეხება ორივე სრუტეს (ბოსფორს და დარდანელს). მაგრამ ახალი

⁷ “Erdogan's Dream, Istanbul's Nightmare“, en.qantara.de/content/the-istanbul-canal-project-erdogans-dream-istanbuls-nightmare Retrieved December 27, 2020.

⁸ Gone, Paul “Moscow Worried about Ankara’s Plans for Canal Bypassing Bosphorus Straits“, jamestown.org/program/moscow-worried-about-ankaras-plans-for-canal-bypassing-bosphorus-straits/ Retrieved December 27, 2020.

⁹ Ali Tuygan, The Montreux Convention: Russia’s Perspective, <https://edam.org.tr/en/the-montreux-convention-russias-perspective>

¹⁰ Ali Kucukgocmen and Jonathan Spicer, “Factbox: Erdogan pushes 'crazy' Istanbul canal dream despite opposition” December 27, 2019, Retrieved December 27, 2020. reuters.com/article/amp/idUSKBN1YV15U

¹¹ Alexy Zender, Is there a possibility of leaving the Montreux Convention?, <https://behorizon.org/is-there-a-possibility-of-leaving-the-montreux-convention>

ხელოვნური არხი Kanal Istanbul თუ აიგო, იგი მხოლოდ ბოსფორის სრუტეს ჩაანაცვლებს. ამ შემთხვევაში ჯერჯერობით ბუნდოვანია, რა იქნება დარდანელის სრუტესთან მიმართებით.

თურქეთ-რუსეთის ურთიერთობები და შავი ზღვა

მთავარი კითხვა თურქეთ-რუსეთის ურთიერთობებში ისაა, თუ გლობალური მასშტაბით რამდენად შეძლებენ მხარეები ერთმანეთთან დაახლოებას და როგორ აისახება ეს სხვადასხვა მიმართულებაზე (და მათ შორის – შავ ზღვაზე).

თურქეთს, დასავლეთთან ურთიერთობების დამაბვის ფონზე, დროდადრო უწევს რუსეთთან და სხვა ძლიერ პოლიტიკურ პოლუსებთან (პეკინი, თეირანი და ა.შ.) დაახლოება და ეს ყველაზე ნათლად სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებზე აისახება. ამ ბოლო დროს ეს კავშირები საჰაერო თავდაცვის იარაღით (მაგალითად, რუსული წარმოების S-400-ების სარაკეტო სისტემები) ვაჭრობაზეც აისახა, რასაც საგრძნობი პრობლემები მოჰყვა თურქეთ-დასავლეთის ურთიერთობებში.¹²

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი და რუსეთი ხშირად თანამშრომლობენ სხვადასხვა საკითხზე, ეს კავშირები მაინც ტაქტიკურ და არა სტრატეგიულ ხასიათს ატარებს. მიზეზი კი მარტივია: ანკარას და მოსკოვს განსხვავებული გრძელვადიანი მიზნები აქვთ, რომლებიც ერთმანეთის ინტერესების საწინააღმდეგაა.

ამ განსხვავებული ინტერესების გამოა, რომ მხარეებს ხშირ შემთხვევაში რადიკალურად განსხვავებული პოზიციები უკავიათ მთელი რიგი მნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემების მიმართ, იქნება ეს სირია, კოსოვო, ყირიმი, მთიანი ყარაბაღი, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი, დნესტრისპირეთი თუ სხვა.¹³

შავ ზღვაზე რუსეთსა და თურქეთს შორის განხეთქილების მთავარი წერტილი უცილობლად ყირიმის ნახევარკუნძულია, რომელსაც მოსკოვი საკუთარ ტერიტორიად, თურქეთი კი უკრაინის მიწად მიიჩნევს. თურქეთში სამართლიანად თვლიან, რომ სწორედ უკრაინის შემადგენლობაში ყოფნისას იქნება საუკეთესოდ დაცული მათთან ისტორიულად, ლინგვისტურად და კულტურულად ახლოს მდგომი ყირიმელი თათრების უფლებები და სამხედრო ბალანსი შავ ზღვაზე არ იქნება რუსეთის მხარეს გადახრილი.

¹² ზურაბ ბატიაშვილი, თურქეთის საგარეო პოლიტიკა რეგიონული უსაფრთხოების კონტექსტში, <https://www.gfsis.org/ge/publications/view/2747>

¹³ ზურაბ ბატიაშვილი, თურქეთის საგარეო პოლიტიკა რეგიონული უსაფრთხოების კონტექსტში, <https://www.gfsis.org/ge/publications/view/2747>



ყირიმში განთავსებული რუსული სარაკეტო სისტემების გამოყენებით ივარება თურქეთისა და შავი ზღვის საჰაერო სივრცეები

ამასთან, ყირიმის განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მდებარეობა რუსეთის ანექსიის შემდეგ უარყოფითად აისახება თურქეთის საჰაერო უსაფრთხოებაზეც, რადგან იქ განლაგებული რუსული რაკეტები წვდება თურქეთის საჰაერო სივრცეს და აფერხებს შავ ზღვაზე თურქული სამხედრო თვითმფრინავების უსაფრთხო ოპერირების შესაძლებლობას.

არის სხვა საკითხებიც, სადაც არ ემთხვევა რუსეთისა და თურქეთის ინტერესები შავ ზღვაზე: საქართველოს ნატოში გაწევრიანების თემა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები, დნესტრისპირეთი და ა.შ.

ხოლო საკითხი, სადაც თურქული და რუსული ინტერესები ერთმანეთის თანმხვედრია, ეხება შავ ზღვაზე არა შავი ზღვის ქვეყნების სამხედრო შეღწევის თემას. თურქეთი, რომელსაც ნატოს წევრ ქვეყნებს შორის ყველაზე ძლიერი სამხედრო-საზღვაო ფლოტი აქვს შავ ზღვაზე, ამ რეგიონს ძირითადად განიხილავს არა ნატოს, არამედ ეროვნულ ჭრილში. ამიტომ იგი ყოველთვის ორჭოფობს და ხშირად ეჭვიანობს კიდევ შავ ზღვასთან დაკავშირებულ ნატოს ინიციატივებზე.¹⁴

თურქეთი და ნატო შავ ზღვაზე

¹⁴ Luke Coffey, No time for NATO complacency in the Black Sea, <https://www.mei.edu/publications/no-time-nato-complacency-black-sea>

თურქეთსა და დასავლეთს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობები ხელს არ უწყობს შავ ზღვაზე ნატოს გაძლიერებას. თუმცა, თურქეთს შავი ზღვის მიმართ სპეციფიკური დამოკიდებულების მიუხედავად, დასავლეთთანაც აქვს საკითხები, რაზე თანამშრომლობასაც გვერდს ვერ აუვლის.

მათი საერთო ინტერესის საკითხები შავ ზღვასაც ეხება, ოღონდ – უფრო ორმხრივი ურთიერთობების კონტექსტში. ასე, მაგალითად, ა.წ. 9 თებერვალს თურქეთისა და აშშ-ის სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალების მონაწილეობით შავ ზღვაში ჩატარდა ერთობლივი სამხედრო წვრთნები,¹⁵ რომელსაც, ბუნებრივია, რუსეთის მხრიდან პროტესტი მოჰყვა.¹⁶

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ზემოხსენებული წვრთნების ჩატარების დრო. რამდენადაც თურქეთი ამ მომენტისთვის ცდილობს დასავლეთთან დაახლოებას, სამხედრო წვრთნები და სხვა სახის ერთობლივი აქტივობები შავ ზღვაზე შედარებით ადვილი ჩასატარებელია.

ჯერჯერობით ბუნდოვანია უახლოეს ხანში როგორ განვითარდება თურქეთ-დასავლეთის (და უპირველეს ყოვლისა, თურქეთ-აშშ-ს) ურთიერთობები, რაზეც დიდწილად იქნება დამოკიდებული შავ ზღვაზე თურქეთისა და დასავლეთის შესაძლო ერთობლივი აქტივობები.

ჯერჯერობით კი რასაც ვხედავთ დასავლეთის მხრიდან – ერთი თვეზე მეტი გავიდა ბაიდენის ინაუგურაციიდან და აშშ-ისა და თურქეთის პრეზიდენტებს შორის სატელეფონო საუბარი არ გამართულა, რაც საკმაოდ უცნაური პრეცედენტია ორმხრივ ურთიერთობებში. სამაგიეროდ, ვაშინგტონმა გააკეთა განცხადებები და თურქეთში წლების წინ დაკავებული ოპოზიციონერი ფილანთროპისტის – ოსმან ქავალას ციხიდან გათავისუფლება მოითხოვა.¹⁷

მართალია, თურქულმა მხარემ ყურად არ იღო ვაშინგტონის ეს მოწოდება, მაგრამ მოსალოდნელია, რომ ოკეანის გაღმიდან გაძლიერდება მსგავსი რიტორიკა, რომელსაც შეიძლება ევროპელებიც მიემხრონ. ეს კი ნამდვილად არ წაადგება თურქულ-დასავლური ურთიერთობების გაუმჯობესებას, მით უმეტეს, იმ ფონზე, რომ თურქეთის თავზე უკვე დიდი ხანია დამოკლეს მახვილივით კიდია დასავლური სანქციების საკითხი.

დასკვნები

¹⁵ Ali Murat Alhas, Turkey, US conduct joint maritime drill in Black Sea, <https://www.aa.com.tr/en/americas/turkey-us-conduct-joint-maritime-drill-in-black-sea/2140534>

¹⁶ U.S., Turkey conduct joint navy drills in Black Sea, Russia protests, <https://ahvalnews.com/naval-exercises/us-turkey-conduct-joint-navy-drills-black-sea-russia-protests>

¹⁷ US demands Turkey release philanthropist Osman Kavala, <https://egyptindependent.com/us-demands-turkey-release-philanthropist-osman-kavala>

- შავი ზღვის უსაფრთხოების მიმართ თურქეთის პოზიცია უნდა შეფასდეს თურქეთ-დასავლეთისა და თურქეთ-რუსეთის ურთიერთობების კონტექსტში;
- რამდენადაც დაშორდება თურქეთი რუსეთს, მით უფრო დაუახლოვდება დასავლეთს და პირიქით, თუ ანკარა დაშორდა დასავლეთს, იგი მოსკოვს დაუახლოვდება. ამიტომ, საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თურქეთის, როგორც დასავლეთის მოკავშირე ქვეყნის როლის შენარჩუნება;
- უახლოეს ხანში რომც მოხდეს ანკარის დასავლეთთან დაახლოება, ძნელად წარმოსადგენია ის ისეთ ნიშნულთან მივიდეს, რომ თურქეთმა ადვილად შეცვალოს თავისი სპეციფიკური დამოკიდებულება შავ ზღვაზე გარე ძალების (მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ისა და ნატოს) გაზრდის პერსპექტივასთან დაკავშირებით;
- ასევე ძნელად წარმოსადგენია, რომ დასავლეთი და თურქეთი ერთობლივად გამოვიდნენ მონტროს კონვენციის გადახედვის ინიციატივით;
- ცხადია, მონტროს კონვენცია სერიოზული ხელისშემშლელი ფაქტორია შავ ზღვაზე ნატოსა და ზოგადად დასავლეთის სამხედრო აღმშენებლობის მიმართულებით, მაგრამ უახლოეს ხანში არც მისი ჩანაცვლების საკითხი განიხილება. ამიტომ სასურველია ალტერნატიულ პროექტებზე ფიქრისა და განხილვის დაწყება;
- ერთ-ერთი ასეთი ალტერნატივა შესაძლოა იყოს ნატოს წევრი ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ძალების ერთგვარი როტაციული საზღვაო პატრულირება შავ ზღვაზე საქართველოსა და უკრაინის პორტებში შესვლით, რაც გააუმჯობესებდა უსაფრთხოების გარემოს შავ ზღვაზე. ამ მიმართულებით სერიოზული სამუშაო იქნება ჩასატარებელი ისევ ნატოს წევრ ქვეყნებთან (და მათ შორის, განსაკუთრებით, თურქეთთან).